ბიულეტენი

ბჭყონდიდრის „სულიერებისა და კულტურის ცენტრის“
ყოველთვიური საინფორმაციო ორგანო

№2 (8) თებერვალი 2008 წელი

შეხვედრა საპატრიარქოში

ქეთევან ბაგრატიონი

ქეთევან ბაგრატიონი და სვეტლანა ქეცბა

ბაგრატიონები აფხაზეთის ჯანდაცვის სამინისტროში

ბიულეტენი გამოდის ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ დანიელის (დათუაშვილის) ლოცვა-კურთხევით 2007 წლის ივლისიდან

ერის სულიერი ამაღლების 30-წლიანი გზა

4 იანვარი. თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის წინ უჩვეულო ხალხმრავლობაა. შესასვლელისაკენ მიმავალი საზოგადოება მრავალფეროვანია: საოპერო ხელოვნების მოყვარულები, მეცნიერები, მწერლები, საზოგადო მოღვაწეები, დეპუტატები, სხვადასხვა პარტიების წარმომადგენლები, სამღვდელოება... საერთო განწყობა იშვიათი ერთსულოვნებით გამოირჩევა. საოპერო მუსიკის კონცერტის დაწყებამდე დარბაზი ფეხზე ადგომით და ხანგრძლივი ტაშით ეგებება თეატრის ცენტრალურ მე-8 ლოჟაში თავისი სულიერი მამის, უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II გამოჩენას. ეს კონცერტი ხომ მისი დაბადების საიუბილეო თარიღს ეძღვნება.

ოპერის თეატრის წამყვან საშემსრულებლო ძალებთან ერთად კონცერტში მონაწილეობდა პეტრე ჩაიკოვსკისა და მონსერატ კაბალიეს სახელობის 2007 წლის საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი, აფხაზეთის მკვიდრი მარიკა გულორდავა. მან თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ორკესტრთან (დირიჟორი გიორგი ჭიჭინაძე) ერთად შეასრულა ამელიას არია ვერდის ოპერიდან „ბალ-მასკარადი“.

ამავე თარიღს მიეძღვნა გამოფენა სამების ტაძარში. წარმოდგენილ ნამუშევართა შორის იყო აფხაზეთიდან დევნილი, გიორგი შარვაშიძის პრემიის ლაურეატი 2 მხატვრის – ელდარ ქავშბაიასა და გიზო ხუბუას ფერწერული ტილოები. ელდარ ქავშბაიასათვის ეს იყო მეორე გამოფენა, რომელიც მიეძღვნა უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II საიუბილეო თარიღებს. პირველად ის მონაწილეობდა აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის მიერ მერაბ ბერძენიშვილის სახელობის საერთაშორისო ცენტრ „მუზას“ საგამოფენო დარბაზში მოწყობილ გამოფენაში „მართლმადიდებლური საქართველო“, ამ გამოფენას დაესწრო თავად უწმიდესი და უნეტარესი. აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარემ მალხაზ აკიშბაიამ მას სწორედ ელდარ ქავშბაიას ნახატი „ცარიელი სანაპირო“ მიართვა. ამჯერად მან გამოფინა 4 ნაწარმოები: „შობა“, „ჩატეხილი ხიდი“, „თევზაობა ზღვაში“ და „სანაპირო“. რელიგიურ თემაზე იყო შექმნილი გიზო ხუბუას ნამუშევრებიც: „ლოცვა“ და „სვეტიცხოველი“.

მისია „საქართველოს გამთლიანებისათვის“

18 დეკემბერს ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი დანიელი (დათუაშვილი) საქართველოს საპატრიარქოში საქართველოში ვიზიტად მყოფ ბატონიშვილ ქეთევან ბაგრატიონის ვაჟს ლელიო-ნიკოლოზ ორსინის შეხვდა. შეხვედრას დაესწრნენ აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე მალხაზ აკიშბაია და აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის თავმჯდომარე სვეტლანა ქეცბა. პრინცი იტალიელთა და ქართველთა ერთობა „წმინდა გიორგის ფარის“ ვიცე-პრეზიდენტი და მრავალი საქველმოქმედო ღონისძიების ინიციატორია. ამჟამად მან აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრთან თანამშრომლობით აფხაზეთიდან დევნილებს 40 ათასი ევროს ღირებულების მედიკამენტები და სამედიცინო აპარატურა ჩამოუტანა.

ლელიო-ნიკოლოზ ორსინი:

– „სოხუმში შეიარაღებულ კონფლიქტამდე ვიყავი და ჩემი გული იქ დავტოვე. იმედი მაქვს, ჩემი გულის ამ ნაწილს დავიბრუნებ, როცა საქართველოს აფხაზეთი დაუბრუნდება. მე, ჩემი ოჯახი და დედაჩემი ამ პრობლემის მოგვარებისათვის ვლოცულობთ... ქართველი ხალხი მუდამ გამოირჩეოდა ერთიანობით, რომელიც არ დაუშვებს საქართველოს მოსახლეობის გათიშვასა და დაპირისპირებას, ამიტომ ჩემს ინიციატივას ვუწოდებ მისიას „საქართველოს გამთლიანებისათვის“.

ადხაზეთი – ბაგრატიონთა ძმათაგან საგვერეთი

23 იანვარს აფხაზეთის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შედგა შეხვედრა ქეთევან ბაგრატიონსა და მის ვაჟ ლელიო-ნიკოლოზ ორსინისთან, რომლებმაც ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ დანიელის ლოცვა-კურთხევით და აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრთან თანამშრომლობით საქართველოში ჩამოიტანეს მედიკამენტები აფხაზეთიდან დევნილებისათვის. შეხვედრაში მონაწილეობდნენ აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრი, ამაღლების ტაძრის დეკანოზი ბიძინა (გუნია), აფხაზეთის ჯანდაცვის სამინისტრო და მის დაქვემდებარებაში მყოფი პოლიკლინიკების ხელმძღვანელები, რომლებმაც უშუალოდ უნდა განახორციელონ ამ ჰუმანიტარული დახმარების განაწილება.

ქეთევან ბაგრატიონი:

– დღეს გადმოცემული ჰუმანიტარული დახმარება არის ჩემი ვაჟის დიდი საქმე. მოგახსენებთ, რომ ჩვენი მთავარი საფიქრალი საქართველოს გამთლიანებაა, ხოლო მთავარი სატკივარი – აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის დახმარება. ეს პროექტი განხორციელდა უწმიდესის ლოცვა-კურთხევით, მეუფე დანიელის დახმარებით და თქვენი ყველას მონაწილეობით. ამის ორგანიზატორი იყო იტალიის ასოციაცია „წმინდა გიორგის ფარის“ ვიცე-პრეზიდენტი ლელიო-ნიკოლოზი. ეს იქნება დასაწყისი, მომავალში ჩვენი თანამშრომლობა გაგრძელდება.

აფხაზეთის გამო ძალიან გვტკივა გული არა მარტო როგორც ქართველებს, არამედ როგორც ადამიანებს. ბედნიერი ვარ, რომ ასეთი ინიციატივა გამოიჩინა ჩემმა ვაჟმა.

სვეტლანა ქეცბა:

– მივმართავ რა ქეთევან ბაგრატიონ-ორსინის და მის ვაჟს ლელიო-ნიკოლოზ ორსინის, მინდა აღვნიშნო, რომ ამ აქციას, რომელიც მიმართულია დევნილების მედიკამენტებით დახმარებისაკენ, არა მარტო და არა იმდენად მატერიალური ხასიათი აქვს, რამდენადაც სულიერი, რამეთუ იგი ეხმარება ხალხს, რომელიც უკვე 15 წელია ტანჯვასა და მწუხარებაში იმყოფება, სასიცოცხლო ძალების მოკრებასა და იმედის დაბრუნებაში.

(გაგრძელება მე-4 გვ.)

აფხაზეთი – ბაგრატიონთა მთავარი საგვარეო

(დასაწყისი მე-3 გვ.)

არ შეიძლება, არ აღვნიშნოთ, რომ ამ აქციას საფუძველი ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა დანიელმა ჩაუყარა თავისი ერთ-ერთი შეხვედრის დროს ქეთევან ბაგრატიონთან. შედეგმაც არ დააყოვნა. თავისი მეგობრების, საქართველოს გაერთიანებასა და აყვავებაზე მზრუნველი ჭეშმარიტი მოღვაწეების დახმარებით ლელიო-ნიკოლოზ ორსინიმ ბოლომდე მიიყვანა ჩანაფიქრი. მედიკამენტები უკვე საქართველოშია. ისინი აფხაზეთის ჯანდაცვის სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ პოლიკლინიკებს გადაეცემა, შემდეგ კი უსასყიდლოდ დაურიგდება ყველა იმ დევნილს, ვისაც ესაჭიროება.

მადლობა მინდა მოვახსენო ყველას, ვინც ამ აქციაში მონაწილეობდა და განსაკუთრებით უწმიდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II, რომლის ლოცვა-კურთხევითაც განხორციელდა იგი.

მინდა გადმოგცეთ ეს პატარა ხატი. დაე, ეს ანგელოზი იყოს მფარველი თქვენი ოჯახისა. დიდი მადლობა.

ლელიო-ნიკოლოზ ორსინი:

– მინდა მადლობა გადავუხადო მის უწმიდესობას, რომელმაც დალოცა ეს საქველმოქმედო მისია, მინდა უღრმესი მადლობა გადავუხადო მეუფე დანიელს, რომლის მეშვეობითაც დავუკავშირდით აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრს, რა თქმა უნდა, აფხაზეთის მთავრობასთან ერთად.

დღეს რეგიონი, რომელიც ყველას გულზე გვაწევს, არის აფხაზეთი. ეს ტკივილი გვიჩენს სურვილს გავაკეთოთ ამ ხალხისათვის ყველაფერი, რაც შესაძლებელია, რათა დევნილებმა თავი განცალკევებულად არ იგრძნონ. უნდა გავაგრძელოთ ეს მზრუნველობა დევნილებისა და აფხაზეთში მცხოვრები ქართველების მიმართ. ყველას უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული, რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენს დახმარებას ამ რეგიონის მიმართ. ჩვენ ყველამ უნდა ვითანამშრომლოთ მშვიდობისათვის. იმედი გვაქვს, აფხაზეთი მალე შემოუერთდება საქართველოს. მოხარული ვარ, რომ დღეს თქვენ გვერდით ვარ. ძალიან ვაფასებ ადამიანებს, რომლებიც ირჩევენ გასაჭირში მყოფი ადამიანების დახმარებას. აფხაზეთიდან დევნილების მიმართ დახმარებას ენიჭება არა მარტო მატერიალური, არამედ მორალური მნიშვნელობაც. ბედნიერები ვართ, რომ ვთანამშრომლობთ მეუფე დანიელთან და მამა ბიძინასთან, რომლებმაც თავიანთი საოცარი ძალით გამამხნევეს მეც და მომცეს ძალა განმეხორციელებინა ეს ღონისძიება.

აფხაზეთის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა დალილა ხორავამ მადლობა გადაუხადა სტუმრებს გაწეული თანადგომისათვის, გადასცა მათ მადლობის წერილი და უსახსოვრა წიგნი „აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობა“.

დალილა ხორავა:

– დიდი მადლობა იმ დახმარებისათვის, რომელიც თქვენ გაუწიეთ აფხაზეთიდან დევნილებს. დღეს აქ გახლავთ ყველა შესაბამისი უწყების ხელმძღვანელი, რომლებიც ამ მედიკამენტებს გაანაწილებენ. შექმნილი იქნება პრეს-დოსიე, სადაც განთავსდება ყველა საჭირო ინფორმაცია.

დეკანოზი ბიძინა (გუნია):

– მოგესალმებით. დღეს საქართველოს ეკლესიაში დიდი სიხარულია, შობის, ნათლისღების დღესასწაულია. ახლა კვირას არის ქართველთა განმანათლებლის წმ. ნინოს ხსენების დღე. ემთხვევა ჩვენი პატრიარქის საიუბილეო თარიღი. ამ კონტექსტში ძალიან მნიშვნელოვანია თქვენი ჩამობრძანება, რათა საქართველოს ერთიანობის პრობლემა იქნეს გადაჭრილი. თქვენი მობრძანება და შეხვედრა დღეს არის დიდი პატივი და იმედი, რომ პრობლემები გადაიჭრება. ღმერთმა დაგლოცოთ და, როგორც უწმიდესი ილოცება, „იხარეთ ორსავე სოფელსა შინა!“

მეგობრობის დასაწყისი

31 იანვარს აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის ინიციატივით თბილისის №1 საბავშვო ბაგა-ბაღს (დირექტორი თეონა ჯულუხაძე) ეწვივნენ №100 ბაგა-ბაღის (დირექტორი მეგი მარღანია) დევნილი აღსაზრდელები. პატარებმა ერთმანეთს თავისი მხატვრული შესაძლებლობები გააცნეს. ერთმანეთს ცვლიდა ლექსები, სიმღერები, ცეკვები. შეხვედრის დასასრულს სულიერებისა და კულტურის ცენტრმა პატარებს ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ დანიელის სახელით საჩუქრები გადასცა. ბავშვებმა საჩუქრები მიიღეს №1 ბაგა-ბაღის ხელმძღვანელობისგანაც. ბოლოს დამხვდურებმა დევნილი თანატოლები სუფრასთან მიიწვიეს და ნუგბარით გაუმასპინძლდნენ. დაიგეგმა მომავალი შეხვედრაც, უკვე №100 საბავშვო ბაგა-ბაღში.

„პირველად იყო სიტყვა...“

„... ყოველი საიდუმლო
ამას ენასა შინა დამარხულ არს“
იოანე ზოსიმე

ქართული პოეზიის მარგალიტები

ანა კალანდაძე

ფეხი დამადგით,
გულზე დამადგით ფეხი ყოველმან,
წყალობა ჰყავით...
საქართველოის ყოვლის მპყრობელმან
ვისურვე დავით...
ფეხქვეშ გაცვითეთ საფლავის ლოდი
ყურძნის მტევნებით...
– ასეთი ცოდვა რა გაქვს, მეფეო,
მიუტევები?
ღირსმსახურებდი ქართულ მიწა-წყალს,
რაი გადარდებს?
გასწიე იგი „ნიკოფსიითგან
დარუბანდამდე“..
თუ... ეს მაღალთა თავმდაბლობაა
ოდით და ოდით?
თუ ცოდვილი ხარ, მაშინ მეფეო,
რაღა ჰქნან ცოდვილთ
სულის სიმშვიდის, სულის სიმშვიდის
ვერსით მპოველთა?
– გულზე დამადგით, ფეხი დამადგით
გულზე ყოველთა..

ჩვენებაშრომები

მარიკა გულორდავა

ის მხოლოდ 22 წლისაა, მაგრამ განგებამ ნიჭთან ერთად დიდი დაბრკოლებებიც არგუნა. დაიბადა 1985 წელს ქალაქ სოხუმში. I კლასში სოხუმის XI საშუალო სკოლაში სწავლობდა, მერე კი ომმა მოუსწრო. 2 წელი ოჯახთან ერთად მოსკოვში გაატარა და სკოლაში სწავლა ვერ განაგრძო. შემდეგ ოჯახი თბილისში გადმოვიდა. დაამთავრა 51-ე საშუალო სკოლა. მუსიკაში მეცადინეობა 13 წლის

ასაკში დაიწყო – იგი ფორტეპიანოზე ჩაირიცხა ევგენი მიქელაძის სახელობის მე-9 სამუსიკო სკოლაში პედაგოგ ნელი გოგორიშვილთან.

სიმღერა ბავშვობიდან უყვარდა, მაგრამ ამ მისწრაფების განხორციელებას ხან ომმა შეუშალა ხელი, ხან სხვა ოჯახურმა პირობებმა. როცა მუსიკისათვის მოიცალეს, მამა უკვე მძიმე ავადმყოფი იყო და უფროს დას, ნანას სთხოვა, მარიკასთვის სიმღერის მასწავლებელი მოეძებნა. ნანას სწამდა მარიკას მონაცემებისა და დიდი მონდომების შედეგად ნაცნობების მეშვეობით მიაგნეს კიდევაც პედაგოგს – ლამარა გოგლიჩიძეს. მერე აღმოჩნდა, რომ ქალბატონ ლამარას სიძე თემურ ელიავა, თავადაც სოხუმელი, შორეულ ნათესავადაც კი ეკუთვნოდა გოგონას. თბილისში ახლადაღდგენილ სოხუმის მუსიკალურ სასწავლებელში ქეთინო ელიავას კლასში ჩაირიცხა. 2 წლის შემდეგ ექსელის გაცვლითი პროგრამით ტეხასის შტატში მოხვდა, სადაც ერთი წლის მანძილზე ინგლისურ ენას ეუფლებოდა.. ბუნებრივია, კიდევ ერთი ობიექტური წყვეტილი გაუჩნდა სიმღერაში სერიოზულ მეცადინეობას. მღეროდა მხოლოდ სკოლის გუნდში.

ამერიკიდან დაბრუნებულმა სწავლა განაგრძო სასწავლებელში და 1 წლის შემდეგ პედაგოგთან ერთად კონსერვატორიაში ჩაბარება გადაწყვიტა. ამ დროს იგი უკვე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნესის მართვის ფაკულტეტზე მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის სპეციალობით სწავლობდა. კონსერვატორიაშიც წარმატებით ჩააბარა გამოცდები. ორ უმაღლეს სასწავლებელში სწავლის შეთავსება შეუძლებელი იყო. ოჯახში დავა გაჩაღდა – ხმა ნაკლებად სანდოა, ასეთი კარგი სპეციალობის მიღება კი აუცილებელიო. კვლავ უფროსი დის მხარდაჭერამ უშველა და საკითხი კონსერვატორიის სასარგებლოდ გადაწყდა. მთელი ძალისხმევა კონსერვატორიისაკენ მიმართა. უმოკლეს დროში წარმატებას წარმატება მოჰყვა ჯერ კონსერვატორიის საოპერო სტუდიაში ტატიანას პარტიის შესრულებისათვის, ამას მოჰყვა საქართველოს მუსიკოს-შემსრულებელთა IV კონკურსში I პრემია და პრიზი არტისტიზმისათვის (ავტორიტეტულ ჟიურის მოსკოვის პ. ჩაიკოვსკის სახელობის კონსერვატორიის პროფესორი ვაჟა ჩაჩავა თავმჯდომარეობდა).

(გაგრძელება მე-6 გვ.)

მარიკა გულორდავა

(დასაწყისი მე-5 გვ.)

კონკურსის შემდეგ – ჩაიკოვსკის ოპერა „იოლანტაში“ იმღერა იოლანტას პარტია. 2007 წლის ივნისში პეტრე ჩაიკოვსკის სახელობის საერთაშორისო კონკურსი აღნიშნა III პრემიით, ბრინჯაოს მედლით, პრიზებით: „მაყურებლის სიმპათია“, „ჩაიკოვსკის ნანარმოების საუკეთესო შესრულებისათვის“ და მსტისლავ როსტროპოვიჩის სახელობის გრანტით. ასეთი გამარჯვების შემდეგ სხვას, შესაძლოა, თვითკმაყოფილება დაუფლებოდა და თავისთვის დასვენების უფლება მიეცა, მაგრამ არა მარიკას. ის სარაგოსაში მონსერატ კაბალიეს სახელობის საერთაშორისო კონკურსზე მიემგზავრება. აქ კონკურსში მისი მონაგარია: I პრემია და საგასტროლო კონცერტების საკმაოდ საინტერესო მარშრუტი ევროპის ქვეყნებში, რომელიც, სავარაუდოდ, 2008 წელს უნდა დაიწყოს. ლაურეატი მონსერატ კაბალიემ თბილისში გამართულ საქველმოქმედო კონცერტში პირადად წარუდგინა მაყურებელს. ეს შეხვედრა მსოფლიოში აღიარებულ სოპრანოსთან დაუვიწყარი იქნება მის ახლადფეხადგმულ, მაგრამ სერიოზული წარმატებებით სავსე საკონცერტო ცხოვრებაში. დაუვიწყარი იქნება, აგრეთვე, გამოსვლები უწმიდესის წინაშე, რომლებსაც კონსერვატორიის ბაკალავრიატის მეოთხე კურსის სტუდენტი მარიკა გულორდავა განსაკუთრებული პასუხისმგებლობით ეკიდება.

უახლოესი გეგმა მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელებაა. ახალგაზრდა მომღერალი მიიჩნევს, რომ სასწავლი კიდევ ბევრი აქვს. ასეთი დამოკიდებულებაა სწორედ იმ დიდი გამარჯვებების საწინდარი, რომელსაც მან უკვე მიაღწია და რასაც უთუოდ მიაღწევს მომავალშიც.

საეკლესიო კალენდარი

1 თებერვალი (პარ.) –	ხსნება ღირსისა ანტონ მარტყოფელისა (VI ს) და ღირსისა მაკარი დიდისა, ეგვიპტელისა (390-391წწ.)
3 თებერვალი (კვ.) –	ხსენება ღირსისა მაქსიმე აღმსარებელისა (662წ.)
7 თებერვალი (ხუთშ.) –	ხსენება წმ. გრიგოლ ღმრთისმეტყველისა, კონსატანტინრპოლელი მთავარეპისკოპოსისა (389 წ.)
8 თებერვალი (პარ.) –	ხსენება წმ. კეთილმსახური მეფისა დავით აღმაშენებელისა (1125 წ.)
10 თებერვალი (კვ.) –	ხსენება ღირსისა ეფრემ ასურისა (373-379წწ.)
12 თებერვალი (სამშ.) –	ხსენება წმ. შორის მამათა ჩვენთა და დიდთა მღვდელმთავართა – ბასილი დიდისა, გრიგოლ ღმრთისამეტყველისა და იოანე ოქროპირისა
13 თებერვალი (ოთხშ.) –	ხსენება ქართველთა კეთილმორწმუნე მეფისა თამარისა (1213წ.);
15 თებერვალი (პარ.) –	მირქმა-მიგებება უფლისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი
17 თებერვალი (კვ.) –	მეზვერისა და ფარისევლის კვირა
20 თებერვალი (ოთხშ.) –	ხსენება წმ. მეფისა სოლომონ II, სამშობლოსათვის თავდადებულისა
24 თებერვალი (კვ.) –	უძღები შვილის კვირა
25 თებერვალი (ორშ.) –	ივერიის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატის დღესასწაული

<u>დამატება:</u>

1 მარტი (შაბ.) –	ხორციელის შაბათი, მიცვალებულთა ხსენება
2 მარტი (კვ.) –	ხორციელის კვირა, საშინელი სამსჯავროს ხსენება

შენიშვნა: თარიღები მითითებულია ახალი სტილით.

„ვიდრე ამ სავანეში იხილვება ჩემი ხატი, არ მოგვაკლდებათ თქვენ ჩემი ძის მადლი და წყალობა...“

კალიოპეს ივერიის ყოველადწმიდა ღვთისმშობლის ხატის შესახებ

„ზეაღიმართა და ტალღებთან ერთად დასავლეთისკენ გასცურა“

ქრისტეს შობიდან მეცხრე საუკუნეში, ხატმებრძოლი მწვალებლობის სენით შეპყრობილი იმპერატორის თეოფილეს მეფობის დროს მძვინვარებდა პატიოსანი ხატების სასტიკი დევნა. ხატთა თაყვანისცემის აღმსარებელ კეთილმორწმუნე ქრისტიანებს აწამებდნენ, ხოლო თავად წმიდა გამოსახულებებს იღებდნენ ტაძრებიდან და წვავდნენ. ყველა ქალაქსა და სოფელში წარგზავნილი იყო საიდუმლო მზვერავები, რათა მოეძიათ ფარულად შენახული ხატები და მეფის მკაცრი ბრძანების თანახმად გაენადგურებინათ ისინი.

იმ დროს მცირე აზიის ქალაქ ნიკეასთან ცხოვრობდა ერთი მდიდარი, კეთილმსახური და ქველისმოქმედი ქვრივი, თავის ჭაბუკ ვაჟთან ერთად. მას ჰქონდა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის საკვირველთმოქმედი ხატი, რომლის მიმართ განსაკუთრებული რწმენა და კეთილმოწიწება გააჩნდა.

(გაგრძელება მე-7 გვ.)

კალთოვნის იკვრების ეკოლოგიურად სუფთა ლვთისმშობლის წყლის შესახებ

(დასაწყისი მე-6 გვ.)

მან თავისი სახლის მახლობლად ააგო ეკლესია, სადაც მოათავსა ხატი და ხშირად მხურვალედ ლოცულობდა მის წინაშე. ერთხელაც, ქვრივის სახლში მივიდნენ მეფის მზვერავები და თვალი მოჰკრეს ტაძარში დასვენებულ ღვთისმშობლის ხატს. ერთ-ერთმა მათგანმა განრისხებით ხატს მახვილი ჰკრა და წამსვე ქალწულის ლოყიდან, ვითარცა ცოცხალი სხეულიდან, სისხლი გადმოედინა და ჯალათს გულზე მიესხა. დედაკაცმა დაუჩოქა მათ და სთხოვა, დაენდოთ ხატი და მოეთმინათ გათენებამდე, სანამ იგი გამოსასყიდ თანხას შეაგროვებდა, რაზეც მეფის ანგართმოყვარე მსახურთაგან თანხმობა მიიღო.

მათი განშორებისთანავე ქვრივი თავის ძესთან ერთად ეკლესიაში შევიდა, მუხლმოდრეკილი, ცად აპყრობილი ხელებით დიდხანს ევედრა ღმრთის დედას, ცრემლითა და ოფლით დაალტო მიწა, და ბოლოს დიდი მოკრძალებით ხატი ზღვის ნაპირას წააბრძანა. იქ კვლავ დავარდა წმიდა ხატის წინაშე და ლმობიერად შეჰღაღადა მარადის ქალწულს: „დედოფალი, შენ ვითარცა ღმრთისმშობელს ძალგიძს გვიხსნა ჩვენ უკეთური მეფისაგან და შენი ხატი დანთქმისაგან!“ ამ სატყვებით ქვრივმა სანატრელი სიწმიდე ზღვაში ჩაუშვა, და იხილა სასწაული: ხატი არ დაეცა წყალზე ბრტყლად, არამედ ზეაღიმართა და ტალღებთან ერთად დასავლეთისკენ გასცურა. ამის ხილვით ნუგეშინისცემულმა დედაკაცმა მადლობა შესწირა უფალს და მის ყოვლადუბიწო დედას, მერე მიუბრუნდა თავის ძეს და უთხრა: „აღსრულდა ჩვენი წადილი და იმედი, ამაო არ ყოფილა ჩვენი მსახურება ღმრთისადმი და კეთილმოწყალება ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობლისა. ახლა მისი სიყვარულისთვის მე მზად ვარ მოვკვდე მტანჯველთა ხელით, შენი სიკვდილი კი არ მნებავს. მე არ შემიძლია აქედან წასვლა, შენ კი გთხოვ და გევედრები, რათა გაიქცე“. შვილმა მორჩილებით მიიღო დედის ნება, გამოეთხოვა მას და დაუყოვნებლივ წავიდა თესალონიკეში, მცირე ხანში კი გადავიდა ათონის მთაზე და დამკვიდრდა იმ ადგილას, სადაც მოგვიანებით ივერთა მონასტერი აიგო. აქ მან მიიღო მონაზვნობა, ღმრთის სათნო ღვაწლში განვლო ცხოვრება და კეთილად აღესრულა. უეჭველია, რომ უფლის განგებით მოხდა წმიდა მთაზე მისი გადასვლა, რადგან სწორედ მისგან შეიტყვეს ათონის მეუდაბნოე მამებმა ქვრივის მიერ წმიდა ხატის ზღვაში ჩაშვების შესახებ. თუ სად იმყოფებოდა ამ ხნის მანძილზე ღმრთის დედის საკვირველთმოქმედი ხატი, უწყის მხოლოდ უფალმა, ყოვლის მეცნიერმა...

„ყველა შეიტყობს თქვენი სავანისადმი ჩემს სიყვარულსა და წყალობას“

ერთხელ, XI საუკუნის დამდეგს, დიდ მარხვაში, ივერთა მონასტრის ბერებმა იხილეს ზღვაზე აღმართული ნათლის სვეტი, რომელიც ბრწყინავდა ღამის წყვდიადში და არ ქრებოდა დღის შუქზე. ნათელი მოდიოდა ზღვის ტალღებზე მდგომი ღმრთისმშობლის ხატიდან. მამები შეეცადნენ ნავით მიახლოებოდნენ ხატს, მაგრამ სიწმინდე განეშორა მათ და მისი ნათელი იხილეს ჰორიზონტზე, სადაც ზღვა უერთდება ცას. ათონის ყველა მოღვაწე ზღვასთან შეიკრიბა, თითქოსდა მტრედების გუნდმა დაჰფარაო მისი ნაპირი. ბერები პარაკლისებს უხდიდნენ ზეციურ დედოფალს, მონასტრებში არ წყდებოდა ფსალმუნთა კითხვა. დადგა ვნების შვიდეული. მთელმა წმინდა მთამ გლოვის ძაძები შეიმოსა. უკლებლივ ყველა ბერი ინანიებდა თავის ცოდვებს – მონასტრის წინამძღვრებიც, წლების მანძილზე დაყუდებული მამებიც და წუთისოფლიდან ახლად მოსული მორჩილებიც. მათ იცოდნენ, რომ სინანულის ცრემლებით განუბანელი ცოდვები, ვითარცა კედელი, გზას უღობავდა ზეციურ დედოფალს.

იმხანად ივერთა სავანის მიდამოებში, მიუვალ მთაზე, განმარტოებულ სენაკში კაცთა მზერას მოშორებულ ღმრთის სათნო ღვაწლში ატარებდა განდეგილ ცხოვრებას ღირსი გაბრიელი, ტომით ქართველი. ზეციური ნათლით შემოსილი ღმრთისმშობელი ძილში გამოეცხადა ღირს გაბრიელს, რომელიც თავისი სენაკის სიმაღლიდან ჭვრეტდა ზღვით მობრძანებულ პატიოსან ხატს ღმრთის დედისა, და უთხრა: „აუწყე წინამძღვარსა და ძმებს, რომ მნებავს, მივანიჭო მათ ჩემი ხატი შემწედ და მფარველად. ნიშნად ამისა შემოდი ზღვაში, რწმენით გაიარე მის ტალღებზე და მაშინ ყველა შეიტყობს თქვენი სავანისადმი ჩემს სიყვარულსა და წყალობას“. წმიდა ბერმა ამ ხილვის შესახებ წინამძღვარს გამოუცხადა. მეორე დღეს, განთიადზე ივერთა მონასტრის მამები გალობით, საკმევლის კმევითა და ლიტანიობით გამოვიდნენ ნაპირზე. გაბრიელმა ილოცა ღმრთისმშობლისადმი, მერე ფეხი შედგა ზღვის ტალღებზე, როგორც პეტრემ გალილეის ზღვაზე, საკვირველად განვლო წყალი, როგორც ხმელეთი, და ხელში აიღო ფასდაუდებელი საუნჯე. ათრთოლებული და შეძრწუნებული გაბრიელი მოაბრძანებდა ღმრთის დედის საკვირველთმოქმედ ხატს, რომლის მადლი უხილავად იჭერდა მას წყლის ზედაპირზე. ბერებმა სიხარულით მიიღეს ხატი, ვითარცა თავად ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელი, იქვე სამლოცველო აუგეს და სამი დღე-ღამის განმავლობაში ჰმადლობდნენ უფალს და მის ყოვლადუბიწო დედას. იმ ადგილას, სადაც წმიდა გაბრიელმა ხატი გამოასვენა, ამოსჩქეფა საკვირველთმოქმედმა წყარომ, რომელიც დღემდე მოედინება და ყოველგვარ ხორციელ და სულიერ სნეულებათა მკურნალია.

ეს ამბავი მოხდა ბრწყინვალე შვიდეულის სამშაბათს. სამი დღის შემდეგ ხატი გადაიტანეს მონასტრის მთავარ ტაძარში, ანუ კათოლიკონში, და დააბრძანეს საკურთხეველში. მეორე დღეს, ცისკრის ლოცვის წინ კანდელების ასანთებად ეკლესიაში შესულ ბერს ხატი ადგილზე აღარ დახვდა. ხანგრძლივი ძიების შემდეგ ბერებმა იგი მონასტრის კარიბჭის კედელზე აღმოაჩინეს და კვლავ უწინდელ ადგილას დააბრუნეს. სასწაული რამდენჯერმე განმეორდა. ბოლოს ღმრთისმშობელი ისევ გამოეცხადა ძილში გაბრიელს და უთხრა: „გამოუცხადე ძმებს, რომ მეტად აღარ გამომცადონ, რადგან არ მნებავს თქვენი მფარველობა, არამედ თვითონ მსურს ვიყო თქვენი მფარველიცა და მცველიც, არა მარტო ამ ცხოვრებაში, არამედ მომავალშიც.

(გაგრძელება მე-8 გვ.)

კალთაჯვარმა ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის შესახებ

(დასაწყისი მე-6 გვ.)

ტაძარი, სადაც ამჟამად დასვენებულია ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატი

დაე ყველა ბერი, ვინც ამ მთაზე კეთილად და ღვთის შიშით იღვაწებს, სასოებდეს ჩემი ძისა და მეუფის მოწყალებას, რამეთუ მე გამოვითხოვე მისგან ეს ნიჭი და აჰა, იყოს თქვენდა სასწაულად: ვიდრე ამ სავანეში იხილვება ჩემი ხატი, არ მოგაკლდებათ თქვენ ჩემი ძის მადლი და წყალობა“.

ამის მოსმენამ ძმებს გამოუთქმელი სიხარული მოჰგვარა. მათ ყოვლადწმიდა ქალწულის სადიდებლად სავანის კარიბჭესთან მცირე ტაძარი ააგეს და მისი საკვირველთმოქმედი ხატიც იქ დაასვენეს. მას შემდეგ ხატი ღმრთისმშობლის მიერ გამორჩეულ ადგილზე ბრძანდება, რის გამოც იწოდება „პორტაიტისად“, ანუ „კარიბჭისად“ და, რადგანაც მან ივერთა სავანე აირჩია თავის სამყოფელად, ეწოდება „ივერიის ღმრთისმშობელი“. მას ძველთაგანვე კიდევ ერთი სახელი შეარქვეს – „მწყალობელი“. იგი ყველა მართლმადიდებელ ერში დაემკვიდრა და ამიტომაც ივერთა მონასტერს მსოფლიოში ასზე მეტი დიდი მეტოქი, ანუ ქვემონასტერი ჰქონდა. არსებობს გადმოცემა, რომ სანამ კარიბჭის საკვირველთმოქმედი ხატი ივერთა სავანეში იმყოფება, ათონის მთა მთელს ქვეყნიერებას მოჰფენს მართლმადიდებლობის წმიდა ნათელს და ჯოჯოხეთის ძალები ვერ მოერევიან მას. მაგრამ დადგება დრო და ხატი გაუჩინარდება ისეთივე იდუმალი გზით, როგორც მოვიდა. მაშინ ბერებმა სასწრაფოდ უნდა დატოვონ წმიდა მთა, როგორც ქრისტიანებმა მიატოვეს იერუსალიმი ტიტუსის დროს. სოფლის აღსასრულისა და უფლის მეორედ მოსვლის ერთ-ერთი ნიშანი სწორედ ეს იქნება. ათონზე იყო ჩვეულება: ყოველ კვირას ივერთა სავანის კარიბჭესთან მოდიდოდნენ ყველა მონასტრის წარმომადგენლები, რათა გაეგოთ, იყო თუ არა ხატი თავის ადგილას; თაყვანს სცემდნენ მას, როგორც წმიდა მთის იღუმენიას და ბრუნდებოდნენ თავიანთ მონასტერში სასიხარულო ამბით, რომ ღმრთისმშობელს არ მიუტოვებია ათონი, რომ წმიდა მთაზე მართლმადიდებლობის სული კვლავინდებურად ნათელი და წმიდაა.

„ივერიის ღმრთისმშობლის ხატი“, თბილისი, 1999 წ.

წამიდა კეთილგანსვენებული დავით აღმაშენებელი

XI საუკუნის საქართველო ფიზიკური და სულიერი კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა. სულთანმა მალიქ-შაჰმა დაიპყრო სამშვილდე, შეიპყრო მისი მმართველი იოანე ლიპარიტის ძე, ააოხრა სომხეთი, აიღო და დაარბია ქუთაისი, არტანუჯი, კლარჯეთის უდაბნო. შეშინებულმა ქართველებმა მიატოვეს სამკვიდრებელი და მთებსა და ტყეებს შეაფარეს თავი. დაცარიელებული ქვეყანა ურჯულოებმა დაიპყრეს, ააოხრეს ეკლესია-მონასტრები, ამოხოცეს მოსახლეობა.

ერთ დროს ქრისტესმოყვარე ერი უსჯულოებამ და ცოდვამ მოიცვა... „ყოველმან ასაკმა და ყოველმან პატივმან ყოვლითურთ შესცოდეს ღმერთს და მიიქცეს გზათაგან წრფელთა ყოვლისა მიმართ უკეთურებისა“. აღდგომის დღეს „მოხედნა უფალმან რისხვითა და შეძრა ქუეყანა საფუძვლითურთ“. საშინელმა მიწისძვრამ ყველაფერი დაანგრია.

ასეთი გაჭირვებისა და უბედურების ჟამს „იწყო აღმოცისკრებად მზემან ყოველთა მეფობათამან, დიდმან სახელითა და უდიდესმან საქმითა, სახელ-მოდგმამან დავით, ღმრთისა მამისამან და თჳთ სამოეცდამეცხრამეტემან შვილმან ამის დავითისმან, დავით“. საქართველოს იმედად და პატრონად მოევლინა განსწავლული, ბრძნადმეტყველი, ღვთისმოშიში, დავრდომილთა ხელისაღმპყრობელი, ქვრივ-ობოლთა განმკითხავი, სამართლიანი მსაჯული, დაუმარცხებელი მეომარი, მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა, მახვილი მესიისა – წმიდა დავით აღმაშენებელი.

1089 წელს გიორგი II უარი თქვა მეფობის პატივსა და სიმძიმეზე და თავის 16 წლის „მარტოშობილ ძეს... დაადგა გჳრგჳნი მეფობისა“ წინ იყო ბრძოლების, შრომის, აღმშენებლობის, მოღვაწეობის 36-წლიანი გზა.

უპირველეს ყოვლისა, დავით მეფემ დიდი თურქობის დროს გაქცეული და მიუვალ ადგილებს შეხიზნული ქართველების დაბრუნება დაიწყო ძველ ნამოსახლარზე, აზნაურები შემოიკრიბა და მათთან ერთად შეუდგა ერის შეკრებას.

გავიდა ოთხი წელი. მოკვდა სულთანი მელიქ-შაჰი.

ლიპარიტ ბაღვაშმა, რომელიც პირველ ხანებში ერთგულად ედგა მეფეს გვერდით, „იწყო მამურ-პაპურთა კუალთა სლვა... დაღათუ ქრისტიანე იყო სახითა, გარნა ორგულება და სიძულვილი პატრონთა გუარისაგან მოაქუნდა გონებითა... დადგა ყოველსა გზასა არაკეთილსა.“ მეფემ მისი მობრუნება განიზრახა და რამდენიმე ხნით შეიპყრო. კლდეკარის ერისთავმა მტკიცე ფიცი და ერთგულების პირობა დადო, მეფემ შეუნდო, მაგრამ როცა დარწმუნდა, რომ „კუდი ძაღლისა არ განიმართების, არც კირჩხიბი მართლად ვალს“, კვლავ შეიპყრო, ორი წელიწადი საპყრობილეში ამყოფა, შემდეგ კი პატივაყრილი საბერძნეთს გაგზავნა. ასევე წარმატებით დათრგუნა დავითმა სხვა ურჩი დიდებულებიც, რადგან იცოდა, რომ ძლიერი სახელმწიფოს აუცილებელი ქვაკუთხედი შინაგანი მშვიდობა და ერთობა იყო.

ამასობაში იერუსალიმი და ანტიოქია ჯვაროსნებმა აიღეს. ამით ისარგებლა დავით მეფემ და თურქებს ხარკის მიცემა შეუწყვიტა. ღვთივგანბრძნობილმა მეფემ თავისი გონიერი მზერა ეკლესიას მიაპყრო. მან მოიწვია საეკლესიო კრება „ღვთისმოყვარეთა მონაზონთა, დაყუდებულთა და მეუდაბნოეთა“ „სანახებთა ქართლისათა, მახლობელად ორთა საეპისკოპოსოთა – რუისისა და ურბნისისა“. კრებამ აღადგინა და გააძლიერა ქართული ქრისტიანული ეკლესიის ავტორიტეტი. აღკვეთა თავგასულ ფეოდალთა და უღირს სასულიერო პირთა თავნებობა. ეკლესია გახდა ძირითადი დასაყრდენი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური და ეროვნული ინტერესების განხორციელების საქმეში. კრებამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა მართლმადიდებელი სარწმუნოების სასიცოცხლო მნიშვნელობა ერისა და პიროვნების გადარჩენის საქმეში.

დავით მეფე აქტიურად შეუდგა საქართველოს სრულ გაერთიანებას და უპირველესად კახეთ-ჰერეთს მიჰმართა. თურქები და მოღალატე ფეოდალები ფარ-ხმლის დაყრას არ აპირებდნენ.

ღვთის წყალობას მინდობილი ლაშქარი ერწუხთან უშიშრად შეება თურ-

ქთა უზარმაზარ მხედრობას. რიგითი ჯარისკაცივით იბრძოდა მეფეც, მეომრებს ლომივით შეუძახებდა, გრიგალივით დაჰქროდა. სამი ცხენი მოუკლეს მას ამ ბრძოლაში, მეოთხეზე ამხედრებულმა დაასრულა ბრძოლა საკვირველი გამარჯვებით.

რამდენიმე წელი ქვეყნის შიდა პოლიტიკის რეფორმას და აღმშენებლობას მოახმარა კეთილმსახურმა დავითმა, შემდგომ კი შეუდგა თურქთაგან საქართველოს სრულ განწმენდას.

თურქთა სულთანმა მუჰამედმა 100-ათასიანი ლაშქარი დაძრა საქართველოსკენ. როცა მტრის შემოსვლა შეიტყო, დავით მეფე ათას ხუთასი კაცით თრიალეთისკენ წავიდა. განთიადისას შეება ერთმანეთს უთანასწორო მხედრობა. „შეწევნითა ღმრთისაჲთა იძლია ბანაკი თურქთა“.

თავზარდაცემული მომხდურები ისე

გაიქცნენ, რომ კარვების მოხსნა და საქონლის გარეკვაც ვერ მოასწრეს. ამასობაში გიორგი ჭყონდიდელმა რუსთავიც წაართვა დამპყრობლებს. 1115 წელს მტკვრის ხეობა მთლიანად შეუერთდა საქართველოს. ერთი წლის შემდეგ კი კარნიფორსა და ბასიანს შორის დაბანაკებული თურქებიც განიდევნა.

სიმდიდრით და დიდებით აივსო სამეფო. იმავე წელს დავითმა თავისი ასული კატაჲ ბერძენთა იმპერატორს ალექსი კომნენს მისცა რძლად, მეორე ასული კი შირვანს გაგზავნა დედოფლად.

შემდგომ წელიწადს ლორე და აგარანი შემოიერთა საქართველომ.

მიუხედავად წარმატებებისა, დავით აღმაშენებელი კარგად ხედავდა, რომ ძლევამოსილ, მაგრამ მცირერიცხოვან ქართულ მხედრობას საქართველოს ქალაქებისა და ციხეების უსაფრთხოების დაცვა და იმავდროულად მუდმივმოქმედ არმიაში ყოფნა გაუჭირდებოდა. საჭირო იყო მუდმივი ლაშქრის შექმნა. ბრძენმა მეფემ განიზრახა ყივჩაღთაგან შეექმნა ასეთი არმია. ის კარგად იცნობდა ამ ხალხს, იცოდა მათი ომის ხელოვნების და მხნეობის ამბავი. მისი მეუღლე, გურანდუხტ დედოფალიც ხომ ყივჩაღთა მთავრის, ათრაქა შარაღანის ძის ასული იყო. ათრაქამ სიხარულით მიიღო სახელოვანი სიძის წინადადება.

დავითმა ყივჩაღათაგან შექმნა 40000-იანი არმია. ამას 5000 ქართველიც მიუმატა და იმ დღიდან საქართველოს განმგებლობაში მუდმივად იყო 45000 კაცისაგან შემდგარი სპა.

დავითმა საქართველოში და მის მახლობლად მცხოვრები თურქების ნავარდობას ბოლო მოუღო. წმიდანი მეფე დღითიდღე ამტკიცებდა, ჰკრავდა და აძლიერებდა ქვეყანას. მტრები ვერ ბედავდნენ ღვთივკურთხეულ მეფესთან შებმას. „ესევითართა ჭირთაგან შეიწრებულნი თურქმანნი“ სულთან მაჰმუდს ეახლნენ ბაღდადში. გლოვისა და გაჭირვების ნიშნად შავად შეიღებნენ და ასე აუწყეს ამიერკავკასიაში მიმდინარე ამბები. სულთანმა არაბთა მეფეს დურბეიზს უხმო, მისცა თავისი ძე მალიქი, 600 000-იანი არმია შეკრიბა და საქართველოსკენ დაიძრა.

1121 წლის აგვისტო იდგა. ქვიშასავით მოადგა ურიცხვი მტერი თრიალეთს, მანგლისს, დიდგორს, „თჳთ ფერჴთა ზედა ვერ ეტეოდეს ამათ ადგილთა“. უშიშარმა მეფემ წყნარად, უშფოთველად და ბრძნულად განაწყო სპა ისე, რომ არა მარტო გამარჯვებაზე იზრუნა, არამედ თავის მცირერიცხოვან მხედრობასაც გაუფრთხილდა.

ბრძოლის დაწყების წინ მეფემ სიტყვით მიმართა ლაშქარს; „ეჰა, მეომარნო ქრისტესნო! თუ ღვთის სჯულის დასაცავად თავდადებით ვიბრძოლებთ, არამცთუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართა, არამედ თვით ეშმაკებსაც ადვილად დავამარცხებთ, და ერთ რამეს გირჩევთ, რაც ჩვენი პატიოსნებისა და სარგებლობისთვის კარგი იქნება: ესაა, რომ ჩვენ ყველამ ხელთა ცისადმი აპყრობით ძლიერ ღმერთს აღთქმა მივცეთ, რომ მისი სიყვარულისათვის ამ ბრძოლის ველზე უმალ მოვკვდებით, ვიდრე გავიქცევით და რომ არ შეგვეძლოს გაქცევა, რომც მოვინდომოთ, ამ ხეობის შესავალი, რომლით შევსულვართ, ხეთა ხშირ ხერგებით შევკრათ და მტკიცე გულით მტრებს, როცა მოგვიახლოვდებიან ჩვენზე იერიშის მოსატანად, სასტიკად შევუტიოთ...“

უკან დახევაზე არც უფიქრია ვინმეს. მეფის გასაოცარმა საბრძოლო ტაქტიკამ მტერი შიშით გათანგა. „ჴელი მაღლისა შეეწეოდა და ძალი ზეგარდამო ფარვიდა მას და წმიდა მოწამე გიორგი განცხადებულად და ყოველთა სახილველად წინაუძღოდა მას და მკლავითა თჳსითა მოსრვიდა ზედამოწევნულთა უსჯულოთა მათ წარმართთა“.

პირველსავე ბრძოლაში მტერმა დიდი ზარალი ნახა. ბაღდადის მმართველი ილღაზი მძიმედ დაიჭრა, სახელგანთქმულ სარდალს დურბეიზ სადაყას ძეს ისე ახლოს მიეჭრნენ ქართველები, რომ გულიდან ოქროს ძვირფასი მანიაკი ჩამოგლიჯეს და შემდგომ დიდგორთან მოპოვებული გამარჯვების პატივსაცემად ხახულის ღვთისმშობლის ხატს შესწირეს.

დიდგორის ომმა დიდი ხნით და საფუძვლიანად გაუტეხა ხერხემალი ქართველთა მტრებს.

მომდევნო, 1122 წელს თბილისი აიღო დავით აღმაშენებელმა და 400-წლიანი ტყვეობის შემდეგ დედაქალაქი სამშობლოს დაუბრუნდა. 1123 წელს დავითმა დმანისიც შემოიერთა და ამით საქართველოს გაერთიანება საბოლოოდ განასრულა.

ჯერ კიდევ 1106 წელს დაიწყო დავით მეფემ თავისი აღმშენებლობითი მოღვაწეობის გვირგვინის – გელათის მონასტრის მშენებლობა. ეს ტაძარი ყველა დანარჩენზე მშვენიერი იყო. დავითმა მას დიდძალი განძი და ომებში მოპოვებული ნადავლი შესწირა, ამასთანავე „შემოკრიბნა კაცნი პატიოსანნი ცხოვრებითა და შემკული ყოვლითა სათნოებითა, არა თჳსთა ოდენ სამეფოთა შინა პოვნილნი, არამედ ქუეყანისა კიდეთათ სადაცთა ესმა მიეთმე სიწმიდე, სიკეთე, სისრულე, სულიერთა და ჴორციელითა სათნოებითა აღსავსეობა, იძინა და კეთილად გამოიძია, მოიყვანა და დაამკჳდრნა მას შინა“.

ასე დაედო საფუძველი უმაღლეს სასწავლებელს – გელათის აკადემიას, აქ მოღვაწეობდნენ: იოანე პეტრიწი, თეოფილე ხუცეს-მონაზონი, იოანე ტარიჭის ძე, არსენ იყალთოელი. მართლსარწმუნოებისა და სიბრძნის კერა იქცა „ყოველისა აღმოსავლეთისა მეორე იერუსალიმად, სასწავლოდ ყოვლისა კეთილისად, მოძღვრად სწავლულებისად, სხვად ათინად“.

განსწავლული და მწიგნობარი მეფე თავისუფალ დროს საღმრთო წერილისა და სხვა მეცნიერებათა წვდომას ანდომებდა. დავითს წიგნები ომშიც თან დაჰქონდა, ჯორებით და აქლემებით დაატარებდა ბიბლიოთეკას. როცა კითხვით დაიღლებოდა, სხვას აკითხებდა, თვითონ კი ყურადღებით უსმენდა. ყველაზე უფრო წმიდა წერილის კითხვა უყვარდა.

საოცარი მწიგნობარი მეფე სწორუპოვარი ჰიმნოგრაფიც იყო. მისი „გალობანი სინანულისანი“ თავისი ღრმა სულიერებით უტოლდება ეკლესიის უდიდესი ჰიმნოგრაფების ნაწარმოებებს.

1125 წელს, როცა „დიდთა საქმეთა და უფროსთა ლაშქრობათა“ წარმართვაზე ფიქრობდა, ანდერძი დაწერა ღვთივგვირგვინოსანმა მეფემ, თავისი ხელით დასვა სამეფო ტახტზე დემეტრე, დაადგა გვირგვინი, მახვილი შემოარტყა წელზე და „დაულოცა ცხოვრება წარმართებული და განგრძობა დღეთა ბედნიერებით“. თვითონ კი 53 წლის ასაკში აღესრულა.

წმიდა დავით აღმაშენებელი დაკრძალეს მის მიერვე აგებული და სამეფო საძვალედ დადგენილი გელათის მონასტრის შემოსასვლელში. საფლავის ქვაზე ამოკვეთილია კეთილმსახური მეფის უკანასკნელი სურვილი: „ესე არს განსასუენებელი ჩემი უკუნითი უკუნისამდე, ესე მთნავს: აქა დავემკვიდრო მე“.

„თვენი. ქართველ წმიდანთა ცხოვრება“, ზუგდიდი 1997

ჩვენი მოძღვარი

(კითხვა-პასუხი სულიერი ცხოვრების შესახებ)

– ვინ იწოდება ადამიანად?

– ადამიანი იმას შეიძლება ეწოდოს, ვინც ნამდვილად გონიერია, ანდა იმას, ვინც საკუთარი თავის გამოსწორებას შესდგომია. გამოუსწორებელს თავის უკეთურებაში – არ უნდა ეწოდოს ადამიანი, იმიტომ, რომ ეს თვისება (გამოუსწორებლობა) არ არის ადამიანური თვისება. ესევითართ უნდა განვეშოროთ. ბოროტებასთან შეთანხმებულად ცხოვრებული ადამიანი არასოდეს იქნება უკვდავთა შორის (ანუ ვერასდროს შეიძენს ნეტართა უკვდავებას).

– ვინ შეიძლება მივიჩნიოთ თავისუფალ ადამიანად?

– თავისუფალ ადამიანად ის კი არ უნდა მივიჩნიოთ, ვინც თავისუფალია თავისი მდგომარეობის გამო საზოგადოებაში, არამედ ის ადამიანები, რომელნიც თავისუფალნი არიან თავიანთი ცხოვრების წესითა და ზნე-ჩვეულებებით. ასე, მაგალითად, ჭეშმარიტად თავისუფალი არ უნდა ეწოდოს ჩინებულ და მდიდარ ადამიანს, თუკი ის ბოროტი და არაკეთილად კრძალულია, იმიტომ, რომ ამგვარი ადამიანი გრძნობისმიერ ვნებათა და გულისწადილთა მონაა. სულის ჭეშმარიტ თავისუფლებასა და ნეტარებას შეადგენენ ნამდვილი სიწმიდე და ყოველივე დროებითისა და ამაოს უგულებელყოფა.

– ვინ უნდა მივიჩნიოთ ჩვენს შეცოდებებსა თუ ადამიანებში დამნაშავედ?

– ამქვეყნიურ სიკეთეთ დამონებული ადამიანები, რომელთაც მხოლოდ სიტყვით იციან, თუ რისი ქმნა ჯერ-არს კეთილმსახური ცხოვრებისათვის, იმათ ემსგავსებიან, წამლები და სამკურნალო ხელსაწყოები რომ შეუძენიათ, ხოლო მათი გამოყენება არ იციან,

და არც ზრუნავენ იმისათვის, რომ ისწავლონ ეს. ამიტომაც ჩვენ შეცოდებებში ნუ დავადანაშაულებთ ნურც ჩვენს წარმომავლობას, ნურც სხვას ვინმეს, ან თუ რაიმეს ჩვენს გარეთ, არამედ მხოლოდ საკუთარი თავი დავადანაშაულოთ ხოლმე, თუკი ცოდვას დავემონებით; რადგანაც თუკი ჩვენი სული თავისი ნებით მიეცემა მცონარებას და დაკარგავს გულმოდგინებასა და ღვთის მოშურნეობას, მაშინ იგი არ შეიძლება დემონთა (კაცთა მოდგმის მტრების) მიერ ძლეული არ იყოს.

– როგორ ვესაუბროთ იმ ადამიანებს, რომელთაც კამათი უყვართ და უცხადეს საკითხებზეც გვედავებიან?

– როცა ისეთ ადამიანს შეხვდები, რომელსაც კამათი უყვარს და რომელიც ბრძოლას დაგიწყებს ცხადზე უცხადესი ჭეშმარიტებების გამო, შეწყვიტე მასთან საუბარი, მსწრაფლ განერიდე და უარყავი, რადგანაც ასეთი ადამიანების გონიერება მთლიანად გაქვავებულია. როგორადაც დამყაყებული წყალი ყოვლად უხმარად შეიქმს საუკეთესო ღვინოს, თუკი მასში გავურევთ, ასევე ბოროტი საუბრები, თუნდაც იშვიათნი, განხრწნიან და წაბილწავენ ცხოვრებითა და ზნე-ჩვეულებებით სათნო ადამიანთა სულებს.

– როგორ უნდა წარიმართოს ძმათა შორის საუბარი?

– ძმათა საუბარში არავითარი უხეშობა და რისხვიანი სიტყვა არ უნდა იყოს, რადგან გონიერ ადამიანს, ჩვეულებრივ, ყმაწვილ ქალზე მეტად ამშვენებს სიმდაბლე და კეთილკრძალულება. ღვთისმოყვარე გონება ის ნათელია, სულს რომ აცისკროვნებს, მსგავსად ხილული მზისა, სხეულს რომ ჰფენს ნათელს.

– როგორ უნდა მივაღწიოთ კეთილმსახურებასა და სიბრძნეს?

– კაცი უცებ ვერ გახდება კეთილმსახური და ბრძენი; ეს ღრმა განსჯით, მეცადინეობით, ხანგრძლივი ღვაწლითა და, რაც უმთავრესია, კეთილ საქმეთა აღსრულების გზით მიიღწევა. ამასთან, ადამიანს გულწრფელი სურვილიც უნდა ამოძრავებდეს. კეთილი და ღვთისმოყვარე ადამიანი, ჭეშმარიტად შემცნობი ღმერთისა, მოსვენებას არ აძლევს საკუთარ თავს და ყოველივეს იმისთვის აკეთებს, რომ ღმერთს სათნო-ეყოს. მაგრამ, სამწუხაროდ, ამგვარი ადამიანები ჩვენს ცოდვილ ცხოვრებაში იშვიათნი არიან.

– როგორი მიმართება უნდა გვქონდეს სიკვდილისადმი?

– სიკვდილი იმ ადამიანებისათვის, რომელთაც იციან შემოქმედი ღმერთი, უკვდავებაა, ხოლო უცნობელთათვის – ნამდვილად სიკვდილია და დაღუპვა. ამიტომ ჩვენ არ უნდა გვეშინოდეს ხორციელი სიკვდილისა, არამედ უნდა გვეშინოდეს სულიერი დაღუპვისა, რაც არის კიდეც უცნობელობა ღმერთისა. აი, რა უნდა იყოს ყველაზე საშინელი ადამიანის სულისათვის.

შენიშვნა: შეკითხვებზე პასუხი წმ. მამის ანტონი დიდის (356 წ.) სწავლებიდან არის ამოკრებილი.

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ლიტურგიკის პედაგოგი დეკანოზი ბიძინა (გუნია)

განცხადება

აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრთან შეიქმნა საეკლესიო ნაქარგობისა და საგალობლების შემსწავლელი სტუდიები. პედაგოგებად მოწვეულნი არიან **ანა ბურდული** და **პაპუნა ღვაბერიძე.** ანა ბურდული არის საღვთისმეტყველო ინსტიტუტის რელიგიათმცოდნეობა-ფსიქოლოგიის ფაკულტეტის დამამთავრებელი კურსის სტუდენტი, 2006 წლის ნოემბრიდან აფხაზეთის №2 საჯარო სკოლაში ხელმძღვანელობს სულიერებისა და კულტურის ცენტრის ინიციატივითა და ხელშეწყობით შექმნილ რელიგიის შემსწავლელ კაბინეტს. იგი მსურველებს შეასწავლის საეკლესიო ნაქარგობის სხვადასხვა სახეობას (ჯვრული, ოქრომკედი). პაპუნა ღვაბერიძე უხელმძღვანელებს საგალობლების შემსწავლელ ჯგუფებს. მას დამთავრებული აქვს თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია საგუნდო-სადირიჟორო (1994) და საოპერო-სიმფონიური დირიჟორის (1996) სპეციალობებით. 1997 წლიდან გალობს ვერის წმიდა პანტელეიმონ მკურნალის ტაძარში, 2000 წლიდან არის საპატრიარქოს რადიო „ივერიას“ მუსიკალური რედაქტორი, 2005-2007 წწ პარალელურად მუშაობდა ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის საოპერო თეატრის მთავარ დირიჟორად.

დევნილებისთვის სწავლება უფასოა.

მისამართი: თბილისი, რუსთაველის გამზ. №37, IV სართული

ტელ.: 93-17-20

მსურველთა მიღება გრძელდება

ერთიანი საკვეთილისა

მარიკა
გაყლობელაძე

გიზო ხუბუა „ლოცვა“

სარედაქციო კოლეგია: სვეტლანა ქეცბა, დეკანოზი ბიძინა (გუნია),
ლია სეხნიაშვილი, ალექსანდრე ფარფალია, ირინა ქეცბა
პასუხისმგებელი რედაქტორი ციცინო ჯულუხიძე

სსიპ „სულიერებისა და კულტურის ცენტრი“
მისამართი: თბილისი, რუსთაველის გამზ. №37, IV სართ. ტელ.: 93-17-20, 899-92-32-67